პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
კვირა, 29 ივნისი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 536
ქ. კ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვ. ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

1 ივლისიდან ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“ ეღირება №—3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

წითელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

გაზეთ „წითელ-არმიელის“ კანტორა.

## როგორი უნდა იყოს კომუნისტი წითელ არმიელი.

ამ რამოდენიმე თვის წინად ჩვენს წითელ ჯარის რიგებს ესტუმრა კომუნისტების ახალი კადრი.

სათანადო პოლიტიკური და სამხედრო მეცადინეობათა კურსის ანვლის შემდეგ ახლად მოსული ამხანაგები განაწილებულ იქმნენ ჯარის ნაწილებში. ახალგაზრდა კომუნისტები მოწოდებული არიან ღირსეულად ჩადგენ წითელ ლაშქრის რიგებში და თავისი ენერგიული, ყოველი მუშაობით ხელი შეუწყონ მის განმტკიცებას და გაძლიერებას.

თითეულ მათგანს კარგად უნდა ესმოდეს თავისი მოვალეობანი წითელ ჯარში, რომლებიც მეტია და არა ნაკლები, ვიდრე სამოქალაქო ორგანიზაციებში.

თითეულ კომუნისტ—წითელ-მოლაშქრეს მუდამ მტკიცედ უნდა ახსოვდეს ის გარემოება, რომ კომპარტია წითელ-არმიის ქვაკუთხედი და საძირკველია. ეს დებულება ერთ წუთს არ უნდა დაივიწყოს ჯარში მომუშავე პარტიულ ამხანაგმა.

სწორედ ამ დებულებიდან გამომდინარეობს მისი მუშაობის ყველა მოცენები ჯარში.

როგორი უნდა იყოს კომუნისტი წითელ-არმიელი?

ის უნდა იყოს ყველასათვის სამაგალითო წითელი-მოლაშქრე.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ კომუნისტი წითელი მოლაშქრე უაღრესად აქტიური მომუშავე უნდა იყოს წითელ ჯარში. ნაწილის ყოველგვარ საქმეში ის პირველი უნდა იყოს. მისი სიტყვა და საქმე ერთი მეორესაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

საუკეთესო ამხანაგი, რევოლიუციონური დისციპლინის შემსრულებელი, ყოველგან პირველი, აქტიური, თვით მომქმედი, საუკეთესო საუკეთესოთა შორის—აი როგორი უნდა იყოს კომუნისტი წითელი მოლაშქრე.

კომუნისტ წითელ არმიელმა აკრეთვე ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყოს უპარტიო წითელ-არმიელთა კომპარტიასთან დაახლოების საქმეს. განსაკუთრებით ის ამას უნდა სცდილობდეს თავისი სამაგალითო საქციელით და კომუნისტური საქმიანობით.

ასეთია მოკლედ წითელ ჯარში მომუშავე კომუნისტების ვალდებულებანი.

თითეულ ახლად მოსულმა ამხანაგმა ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს და გაატაროს ცხოვრებაში.

რევოლიუციის საუკეთესო ჯარის კაცი—აი ვინ უნდა იყოს კომუნისტი წითელი მოლაშქრე.

## ინგლის საბჭოთა კონფერენცია ნაყოფიერი იქნება.

### საუბარი ამხ. ლიტვინოვთან.

საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილემ, ამხ. ლიტვინოვმა, რომელიც ამ ჟამად ბერლინში იმყოფება პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი შთაბეჭდილებით ლონდონის კონფერენციამ მოსძებნა სწორი გზები მის წინაშე მდგარ ამოცანების გადასაჭრელად. ის დარწმუნებულია კონფერენციის ნაყოფიერად დამთავრებაში.

მისი აზრით ინგლისის დაინტერესებული წრეები დარწმუნდენ უკიდურეს მოთხოვნილებათა და ბანკირთა მემორანდუმის წარდგენის უსაფუძვლობაში. ისინი თან და თან რწმუნდებიან იმაში, რომ ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს საბჭოთა კავშირს შეასუსტოს თავისი, აღორძინების პერიოდში მყოფი მეურნეობა მეფის ვალების გადახდით. მაგრამ ინგლისის დაწესებულებები და კერძო მესაკუთრეები მიიღებენ ერთგვარ დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირს გაუწევენ ფინანსიურ დახმარებას სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების აღორძინების დასაჩქარებლად.

## რა უშლიდა ხელს ინგლის საბჭოთა შეთანხმებას.

შეთანხმება შეაფერხა ევროპაში გამეფებულმა აზრმა, რომ საბჭოთა კავშირს უკიდურესად ესაჭიროება უცხოეთის სესხი და უარის თქმით სესხზე შეიძლება იძულებული გახდეს საბჭოთა კავშირი დასთანხმდეს ყოველგვარ პირობებზეო.

ეს შეხედულება თან და თან ქარწყლდება და იბადება მეორე აზრი, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია უცხოეთიდან სესხის აუღებლად, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც გააძლიეროს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

სესხის მიცემაზე ინგლისის წრეები უფრო დაინტერესებული არიან, ვინემ სსრკ, ვინაიდან ისინი სცდილობენ ნაწილობრივ მაინც დაიკმაყოფილონ თავიანთი პრეტენზიები.

## მოლაპარაკების მსვლელობა.

მოლაპარაკების სვლა დამოკიდებულია საკითხის საბოლოო გადაჭრაზე კრედიტებისა და სესხის შესახებ. ყოველგვარი მოლაპარაკება სსრკ-ს დელეგაციასა და კრედიტორთა შორის ძალაში შევა იმ შემთხვევაში, თუ დამაკმაყოფილებლად გადაწყდება სესხის საკითხი.

## საფრანგეთის მიერ სსრკ-ს ცნობა ახლო მომავლის საკითხია.

ერიოსა და რაკოვსკის თათბირის შესახებ ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ საკითხი ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ სულ რამოდენიმე კვირაში გადაწყდება. ლიტვინოვის აზრით, არავითარ წინასწარ პირობებს არ წამოაყენებს საფრანგეთი, ვინაიდან ერიომ იცის, რომ პუანკარეს ყოველგვარ ცდებს დაკავშირებოდა საბჭოთა მთავრობას, ხელს უშლიდა ეს წინასწარი პირობები, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა არც დღეს მიიღებს.

გერმანია—საბჭოთა კონფლიქტის შესახებ ლიტვინოვმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობამ იცის მინიმალური მოთხოვნილებები, რომელთა შეუსრულებლად შეუძლებელია საბჭოთა სავაჭრო აპარატის არსებობა გერმანიაში. ჩვენ ვიმყოფებით იმ საფეხურზე, სადაც ან უნდა მოხდეს შეთანხმება საჩქაროდ, თუ არა და კონფლიქტი უნდა გადაიქცეს ქრონიკულად, რომელსაც მოყვება ყოველგვარი შედეგები.

16 ივლისს ლონდონში მოწვეულია მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც მსჯელობას იქონიებს სარეპარაციო საკითხზე და ექსპერტთა მოხსენებების შესახებ.

(დეპეშებიდან.).




მეგობრულად ინაწილებენ.

## საფრანგეთი.

### ერიოს ნდობა გამოეცხადა.

გუშინ დეპუტატთა პალატამ 397 ხმით 27 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა ერიოს, რომელმაც გააკეთა მოხსენება მოლაპარაკების შესახებ ლონდონში და ბრიუსელში.

ერიომ სხვათაშორის განაცხადა: „მოლაპარაკების უმთავრესი შედეგია—ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის ერთი სურვილის შექმნა —აღდგენილ იქნას ევროპაში მშვიდობიანობა სამართლიანობის საფუძვლებზე“.

საფრანგეთის პრესის აზრით ერიოს მოხსენება ამტკიცებს, რომ საფრანგეთმა უზრუნველჰყო მოქმედების თავისუფლება რურის საკითხში.

### საოკუპაციო რაიონებში.

ერიომ ცნობა გერმანიის მთავრობას რომ მან გასცა განკარგულება, რათა ნება მიეცეთ გადასახლებულთ დაბრუნდენ საოკუპაციო რაიონებში, საერთოდ სამშობლოში დაბრუნდება 60.000 კაცი.

გერმანიის პრესა, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული, სიხარულით აღნიშნავს ერიოს ამ ნაბიჯს.

ბურჟუაზიული „ბერლინერ ტაგებლატი“ ამბობს: „ყოველ გერმანელს სჯერა, რომ ერიომ გააკეთა ის რასაც არას დროს არ გააკეთებდა პუანკარე“. მემარჯვენე გაზეთი „ლოკალ ანცეიგერი“ აღნიშნავს, რომ დაბრუნების ნება მიეცა მხოლოდ 40%-ს, ვინაიდან გადასახლებული იყო არა ნაკლები 140.000 კაცისა.

## ინტერვიუ ერიოსთან.

### გერმანიასთან მოლაპარაკების პროექტი.

„ბერლინერ ტაგებლატში“ მოთავსებულ ინტერვიუში, ერიომ განაცხადა, რომ ის მზადაა წინადადება მისცეს გერმანიას ხელი მოაწეროს მოკავშირეებთან ერთად ხელშეკრულებას თავ დასხმის წინააღმდეგ. ერიომ განაცხად, რომ გენერალი ნოლლე თანახმაა ასეთ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა.

ამ ინტერვიუს გამოქვეყნებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინგლისში და გერმანიაში.

## „სიტყვა გერმანიას ეკუთვნის“

ერიომ იმედი გამოსთქვა, რომ ექსპერტთა გეგმის ასრულება დაიწყება ივლისის ბოლო რიცხვებში, თუ გერმანიის მხრივ არ იქნება წინააღმდეგობა.

„სიტყვა გერმანიას ეკუთვნის“—განაცხადა ერიომ.

## ფონ-გეშის განცხადება.

ფონ-გეშმა განაცხადა, თუ რომ დაშვებულ იქნებიან გერმანიის წარმომადგენლები ლონდონის კონფერენციაზე, იმ შემთხვევაში ექსპერტთა მოხსენების მიღების საქმე უზრუნველყოფილ იქნება გერმანიის მთავრობის მიერ.

# ლონდონის კონფერენცია.

16 ივლისს გაიხსნება ლონდონში მოკავშირეთა კონფერენცია. განსახილველია მხოლოდ ექსპერტთა მოხსენებები. მოკავშირეთა ვალების საკითხს კონფერენცია არ შეეხება.

# კომინტერნის მეხუთე კონგრესი

## 25 ივნისის საღამოს სხდომა.

### იტალიის პროლეტარიატისადმი მიმართვა.

იტალის დელეგაციის წინადადებით კონგრესმა მიიღო მიმართვა იტალიის პროლეტარიატისადმი, პროტესტით ფაშისტური ტერორის წინაამდეგ.

## კამათის გაგრძელება.

### ამხ. ერკოლეს სიტყვა.

ამხ. ერკოლე დაწვრილებით განმარტავს ბორდიგას თვალსაზრისს და აცხადებს, რომ სრულიად იტალიის დელეგაცია პროტესტს აცხადებს იტალიის სოციალისტური პარტიები, როგორც თანამგრძნობთა, კომინტერნში მიღებაზე.

### ამხ. კატაიამას სიტყვა.

ამხ. კატაიამა (იაპონიის წარმომადგენელი) ერთიანი ფრონტის შესახებ ამბობს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი პირობები, სადაც უმეტეს შემთხვევაში აღმოსავლეთის მუშები მუშაობენ არა სამრეწველოებში, არამედ სასოფლო მეურნეობაში.



ამხ. ბორდიგა.
კომინტერნის მეხუთე კონგრესის წევრი. იტალიის კომპარტიის წარმომადგენელი.

### ამხ. მონტეფიორეს სიტყვა.

ამხ. მონტეფიორე (ავსტრალიის წარმომ). განმარტავს კომუნისტურ მოძრაობის სიძნელეს ავსტრალიაში. მაკდონალდის მთავრობამ უღალატა ავსტრალიის მუშათა მთავრობას გუბერნატორის თანამდებობაზე კონსერვატორის გაგზავნით. ბრიტანეთის კომპარტია არ გამოვიდა ამის წინააღმდეგ, თუმცა მას შეეძლო მოეპოებია სიმპატია ფართე მუშათა მასებში.

შემდეგ გამოდიან ამხ. ამხ. ემაიუ და კრეიბიხი (იავას და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგ.) რომლებიც აკრიტიკებენ ჰოლანდიისა და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიებს.

ამხ. ვულფი (მექსიკის წარმომ.) აღნიშნავს, რომ ამერიკა ემზადება გახდეს მსოფლიო რეაქციის ცენტრი, რომ მუშათა მოძრაობა იმყოფება ბურჟუაზიულ ბელადთა ხელში

### ამმ. ბოდრიგას სიტყვა.

ამხ. ბოდრიგას (იტალიის წარმ.) აზრით პროლეტარიატის გაერთიანება კომპარტიის ხელქვეით უნდა მოხდეს სხვა პარტიებთან უკოალიციოდ. სოციალ-დემოკრატია არ არის მუშათა პარტია, ამიტომ მასთან არ შეიძლება ერთიანი ფრონტის დამყარება.

მუშათა მთავრობის ლოზუნგი გადასინჯულ უნდა იქნას დღევანდელ კონგრესზე.

რკპ-ს ხელმძღვანელობითი როლი საუკეთესო გარანტიაა იმის, რომ კომინტერნი დარჩება რევოლიუციონური.

## 26 ივნისის დილის სხდომა.

### მოკლე ანგარიში.

ამხ. ფრიდი (ჩეხო სლოვაკ. წარმ.) ეხება ჩეხო-სლოვაკიის ცეკას საქმიანობას და აღნიშნავს, რომ ის არ აწარმოებს აგიტაცია-პროპაგანდას მასებში. საპარლამენტო ფრაქცია ≠რ იჭერს კავშირს ფართე მასებთან და კომუნისტების მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვები ვერ ახდენს გავლენას მასებზე. ნაციონალურ საკითხს პარტია არ აქცევდა ყურადღებას, სრულიად მოუმზადებელია არალეგალურ მუშაობისათვის და არ მიუღია არავითარი ზომები კლასიური ბრძოლის მოსამზადებლად.

### ამხ. ბუკსკის სიტყვა.

ამხ. ბუკსკი (კანადიდან) აცხადებს რომ ერთიანი ფრონტის შემოღება ინგლის-საქსონიის ქვეყნებში შესაძლებელია მხოლოდ პროფკავშირებში. რაც შეეხება ფერმერთა პარტიას, კომპარტია კი არ უნდა შეუერთდეს მას, არამედ უნდა შევიდეს მასთან კავშირში.

ამხ. ბესი აღნიშნავს, რომ იტალიის კომპარტიამ უნდა განავითაროს ენერგიული საქმიანობა, ვინაიდან ფაშიზმის განვითარებამ მიაღწია უმაღლეს წერტილს.

### ამხ. აცამტეს სიტყვა.

ამხ. აცამტეს (ამერიკა) აზრით კონგრესი აქცევს სათანადო ყურადღებას ატლანტიკის სახელმწიფოებს. პარტიის მთავარი ამოცანაა გააძლიეროს მუშაობა ფერმერთა მასებში.

### ამხ. ზომმერის სიტყვა.

ამხ. ზომმერი (გერმანია) ეხება გერმანიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ კომინტერნმა უნდა აწარმოოს ბრძოლა ოპორტიუნისტულ მიდრეკილებათა წინააღმდეგ და მხოლოდ ამ გზით გახდება კომინტერნი მსოფლიო ლენინის პარტიად.

შემდეგ გამოდიან ამხ. ამხ. დევისერი (ჰოლანდიიდან), ლოზოვსკი (სსრკ), სამუელსონი (შვეცია), ფიალა (ავსტრია). კამათი ამხ. ამხ. ზინოვიევისა და ვარგას მოხსენებების გარშემო თავდება.

## 26 ივნისის საღამოს სხდომა.

### პროტესტი ლენინის ბროშიურის ჩამორთმევის წინააღმდეგ.

პრეზიდიუმის წინადადებით კონგრესმა ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბელგიის მთავრობის მიერ ლენინის ბროშურის ჩამორთმევის წინააღმდეგ საკოოპერაციო გამოფენაზე.

### ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. ზინოვიევი, რომელსაც მხურვალე ტაშით ხვდება კონგრესი. მომხსენებელი შეეხო მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ დემოკრატიულ-პაციფისტური ერა მოვიდა ფაშიზმის შესაცვლელად, მაგრამ უკანასკნელი თავის წილ კვლავ შესცვლის პაციპისტურ ერას. დემოკრატიის შეცვლა ფაშიზმით და ფაშიზმის შეცვლა დემოკრატიით არღვევს კაპიტალიზმის ძირითად საფუძვლებს.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი ეხება გლეხთა საკითხს და ამბობს, რომ კონგრესის მთავარი ლოზუნგი უნდა იყოს: ახლოს გლეხებთან''.

შემდეგ მომხსენებელი ეხება გადახრას პარტიაში და ამბობს, რომ კომინტერნი არ ფიქრობს რადეკის და მისი თანამგზავრების აღრიცხვას, არამედ აწარმოებს ბრძოლას რეფორმისტულ გადახრების წინააღმდეგ.

ბოლოს ამხ. ზინოვიევი უპასუხებს თითეულ ორატორს და დასასრულ აღნიშნავს, რომ მე 5-ე კონგრესი არ აპირებს ძველი გადაწყვეტილებების გადასინჯვას, არამედ აწარმოებს ბრძოლას მათი ოპორტიუნისტულ გაგების წინააღმდეგ.

კონგრესი მხურვალე ტაშით ხვდება ამხ. ზინოვიევის სიტყვის დასასრულს. დელეგატები დგებიან და მღერიან ინტერნაციონალს. დარბაზში დიდ ხანს ისმის ხმები: ,,გაუმარჯოს ბოლშევიკურ კომინტერნს''.

# ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმების გარშემო.

### სსრკ-ს მაგალითის გავლენით.

ტოკიოდან მიღებულ ცნობით იაპონია ფიქრობს შესცვალოს თავისი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ და ნიშნავს ჩინეთში ელჩს რწმუნებულის ნაცვლად.

ეს მოწმობს იმას, რომ სსრკ-ს მაგალითის გავლენით იმპერიალისტური ქვეყნები იძულებული არიან შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა, რათა არ გაალიზიანონ ჩინეთის მოსახლეობის უკმაყოფილება უცხოელებით.

### დიდი განსხვავება.

ჩინეთის გაზეთები ენერგიულ კომპანიას აწარმოებენ უცხოელ სახელმწიფოების წინააღმდეგ. მთავრობასთან ახლოს მყოფი გაზეთი აცხადებს, რომ როცა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა გააძლიერეს ჩინეთის შევიწროება, სსრკ-მ განაცხადა თავისი სიმპატია ჩინეთის მიმართ. ამით მანდასცა იმპერიალიზმის პრესტიჟი. მაგრამ მის განცხადებას რეალური გავლენაც ჰქონდა, ვინაიდან ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმება შეურიგებლად ეწინააღმდეგება იმპერიალისტების პოლიტიკას.

### გერმანიის მუცმანთა თავხედობა.

გერმანიის პოლიციამ ჰამბურგის ნავთსადგურში გაჩხრიკა ლენინგრადის გემი „ისტრები“ წინასწარ გენერალურ კონსულის გაუფრთხილებლად.

# საბჭოთა ფედერაციაში

მდინარე სამარაზე აღმოჩნდა ქვანახშირის დიდი ფენა, რომლის გამო საგრძნობლად ფართოვდება დონის ქვანახშირის სივრცე.

## ამხ. კანდელაკის მოხსენება.

რსფსრ-ს მიწადმოქმედების მიწგეგმის განყოფილებაში საქართველოს მიწ. მოქმედ. კომისრის მოადგილემ. ამხ. კანდელაკმა წაიკითხა მოხსენება ჩაის წარმოების შესახებ შავიზღვის აღმოსავლეთ სანაპიროეგზე.

80 მილიონ გირვანქა ჩაის წარმოების განსავითარებლად წლიურად საჭიროა 1925 წელში კრედიტი 200,000 მანეთის, რომელიც 1929 წლისთვის უნდა გაიზარდოს 2 მილიონ მანეთით. კრედიტის გასწორება დაიწყება ხუთის წლის შემდეგ და სულ გასწორებული იქნება მე-7 წელს.

## აზერბეიჯანის ნავთი

ტრესტების გამსინჯავმა ცენტრალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ ნაციონალიზაციის დღიდან 4 წლის განმავლობაში აზერბეიჯანის ნავთის წარმოება საგრძნობლად განვითარდა. ჯები, რომელთა რიცხვი 1922 წ. უდრიდა 709 გაიზარდა ამა წლის მაისამდი 1.929-დე 1920 წლის ნოემბერში გათხრილ იქნა 28 საჟენი, მიმდინარე წლის მაისში 3.500 საჟ.

საზღვარ გარედ ნავთის ნაწარმოების გატანის გასაძლიერებლად კომისიამ გადასწყვიტა შეიმუშაოს საკითხი ნავთის მილების გაყვანის შესახებ ბაქოდან ბათუმში. გადაწყვეტილ იქნა გადაყვანილ იქნას საწარმოო რაიონები სამეურნეო ანგარიშზე და ჩამოაყალიბონ „აზნეფტი“ სრულიად კავშირის ტრესტის სახით, რომელიც იქნება „ვესენხას“ პირდაპირ ხელმძღვანელობის ქვეშ.

# ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება ნაყოფიერი იქნება.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მეტად საგულისხმო საუბარი პრესის წარმომადგენლების საბჭოთა დელეგაციის წევრთან ლონდონის კონფერენციაზე, ამხ. ლიტვინოვთან.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვებიდან ნათლად სჩანს, თუ რით აიხსნება მოლაპარაკების ასეთი ხანგრძლივობა.

როგორც ვიცით ლონდონის მოლაპარაკება ორ თვეზე მეტია რაც გრძელდება. ეს აიხსნება ერთის მხრივ საკითხების სიმწვავით და მეორეს მხრივ ინგლისის დელეგაციის პოზიციით. ინგლისი, ისე როგორც სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები, დიდ ხანს დარწმუნებული იყო მასში, რომ საბჭოთა კავშირი მეტად საჭიროებს სესხს, ურომლისოდაც ის ვერ შესძლებს მეურნეობის აღდგენასო. ამიტომაც მათ მიზანს შეადგენდა ესარგებლად ამ გარემოებით და მეტი მოთხოვნილებანი წაეყენებიათ ჩვენთვის. ე. ი., ინგლისის ბურჟუაზიის წარმომადგენლები ასე მსჯელობდენ: „თქვენ გჭირიათ სესხი. ჩვენ მოგცემთ მას, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადაიხდით მეფის ვალებს და აგრეთვე აანაზღაურებთ ყველა იმ ზარალს, რომელიც მოუტანა ოქტომბრის რევოლიუციამ ინგლისელ კაპიტალისტებსო“.

ლონდონის ბანკირებს ეგონათ, რომ გაუვიდოდათ ეს ხერხი. მაგრამ მოსტყუვდენ ანგარიშში. მიუხედავათ მათი იმედისა, საბჭოთა კავშირი მაინც განაგრძობს წინსვლას აღორძინების გზაზე, თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს ასე რომ ინგლისელი კაპიტალისტები იძულებული გახდენ თავი გაენებებიათ თავისი ზრახვებისთვის და დასდგომოდენ ისეთ გზას, რომელიც მიიყვანდა შეთანხმებამდე. ეს აიხსნება მით, რომ ინგლისისათვის ჩვენ არა ნაკლები საჭირო ვართ, როგორც მისი სესხია საჭირო ჩვენი მრეწველობის და მეურნეობის აღსადგენად.

სესხის მიღებით საბჭოთა რესპუბლიკები ,,ნაკლებად არიან დაინტერესებული, ვიდრე ინგლისის წრეები, რომლებიც მოწადინებული არიან ნაწილობრივ მაინც გაინაღდონ თავისი მოთხოვნილებანი“ —,ამბობს ამხ. ლიტვინოვი. აქედან ცხადია, რომ შეთანხმება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ჩვენი მოთხოვნილება სესხის მოცემაზე. მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ ნაწილობრივ აინაზღაუროს თავისი პრეტენზიები ინგლისის ბურჟუაზიამ. როგორც ამხ. ლიტვინოვი ირწმუნება კონფერენცია უკვე დაადგა ასეთ გზას. მისი აზრით კონფერენციის მშვიდობიანით დამთავრება აუცილებელია.

—ე.



## მოგვეცით კოვზი, მოგვეცით „კრუშკა“.

პ. ც. ლეგიონი ამ ჟამად ძირითადათ ითვლება ჩვენს გარნიზონში. ..ლიწაზედ მეტია რაც ყაზარმულ ..ვრებას ვატარებთ და ამ ხნის ...ობაში ჩვენს მოწესრიგებას ..ერი ეშველა. ეს გამოიხატება ..ში რომ ამდენი ხანი აქავართ და .. ერთ არმიელს არა აქვს თავისთვის არც საჭმლის ქვაბი, არც კოვზი და კრუშკა. განსაკუთრებით ეს შეეხება პირველ ესკადრონს. მთელი ლეგიონის ესკადრონებში არ მოიძებნება რაიც აუცილებელია საკეტიანი პატარა განჯინები, ტახჩები. არმიელებს ვირსად შეუნახია პურის ნაჭერი თუ სხვა რამ.

ჩაის მიღების დროს მთელი აურზაურია.

დილას ცხენების წმენდის შემდეგ დაახლოვებით 8 საათზედ გვიხდება ჩაის დალევა, რომელიც უნდა მოესწროს ნახ. საათში. შემდეგ კი იწყება პოლიტ-მეცადინეობა ამ ხნის განმავლობაში ბევრი ვერ ასწრებს ჩაის დალევას რადგან მთელ ესკადრონში 60-80 კაცია და მხოლოდ ხუთს აქვს თავისით სადლაც შენაძენი კრუშკები. ამ სასმისებზედ ხდება რიგში ჩადგომა: ჯერ-ერთი დალევს, შემდეგ მეორე და ასე რიგ რიგობით ხუთი კრუშკით უნდა დალიოს 80 კაცმა.

საჭიროა ასეთი მდგომარეობის მოგვარება. ამისათვის უნდა იზრუნოს სამნეო ნაწილმა. დროა მოგვეცეს ყველაფერი, რაც აუცილებელია.

**კლდის ნაგლეჯიძე.**

## წითელ საკავშიროელებში.

საგარნიზონო ყარაულისათვის დარჩენილ ცალკე საკავშირო ასეულის ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

როცა საგარნიზონო ყარაულიდან თავისუფალნი არიან წითელ არმიელები, სწარმოებს პოლიტ-საათები და საუბრები.

ერთი ასეთი პოლიტ-საათი ჩაატარა 26 ივნისს ამხ. ბოჭორიშვილმა (პირველ—ყოფილ კომუნიზმზე) რიგ..აც კმაყოფილნი დარჩენ არმიელები და გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ასეთი საუბრები და პოლიტ-საათები დრო გამოშვებით მოეწყობა (როცა საგარნიზონო განწესებიდან თავისუფალნი იქნებიან.

ამ დღეებში გამოვა კედლის გაზეთი „წითელი დროშა“ № 18.

ყოველდღე დილაობით და საღამოობით ამაცადინებენ 20 წვევამდელს (ვსეობუჩი). გაზეთები სისტემატიურად მოდის.

კარგი იქნება ასეულზე მიმაგრებული პოლიტ-ამხანაგები ხშირ-ხშირად დაიწყებდენ აქ სიარულს და გააცხოველებდენ მუშაობას.

აქ დარჩენილებს არ უნდა დაეტყოს დაობლება. ყაზარმაში საუცხოვო სისუფთავეა დაცული, საჭმელი კარგი ეძლევათ.

ყოველ დილაობით ვარჯიშობენ ფიზიკურად. სულიერი განწყობილება საუცხოვოა; ყველა წითელ მოლაშქრეს კარგათ ესმის თავის მოვალეობა და პირნათლად ასრულებენ.

**ხ.**

## მუდმივად ჩვენი რიგებისაკენ.

ორი თვე გავიდა, მას შემდეგ რაც წითელ ჯარში გამოწვეულნი იქნენ 1902 წ. დაბადებული „კომუნარები“. ისინი მოთავსებულნი არიან პირველ ლეგიონში. მათ შეგნებული აქვთ თავიანთი მოწოდება და ერთგულად დგანან თავის პოსტზე. განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს კომუნარებში, საბჭოთა ხელის უფლების სადარაჯოზე მათი ერთად თავის შეყრა. დიდი ყურადღება ექცევა ჩვენი განვითარების საქმეს. ლეგიონში მოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა, ლექციების და საუბრების კითხვის სახით; პოლიტ-განყოფილება გვიგზავნიდა სათანადო მომზადებულ ლექტორებს და მოწინავე მუშაკებს, რომლებიც დღითი დღე ..ს ლაგვტრიალებდენ და გვასწავლიდენ ამნაირად ის ამხანაგები, რომ..ებიც ჩამორჩენილნი იყვნენ პო..ტიკურ ცოდნას ორი თვის განმავლობაში საკმაოდ მოემზადენ. აღსანიშნავია ის მზრუნველობა, რომელსაც პოლიტ-განყოფილებიდან მოსული ლექტორები იჩენდენ ჩვენს მიმართ.

განურჩევლად ყველა ლექტორები გვეკითხებოდნენ: თუ გვაკლდა ან გვაწუხებდა რამე, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ახალგაზრდა კომუნარებზე.

..უკვე გადავდგით ფეხი მესამე თვე.. ხდება ჩვენი დანაწილება, სწარ..ებს პოლიტ-გამოცდები, არკვევენ თუ რამდენად მომზადებულნი არიან ამხანაგები. გამოცდებს აწარმოებდა პოლიტ-განყოფილებიდან გამოგზავნილი ამხ. კობიძე, რომელიც დიდი კმაყოფილი დარჩა რადგან კომუნარები მის შეკითხვებზე დამაკმაყოფილებლად უპასუხებდენ.

გამოცდების შედეგია ამხანაგების დანაწილება ლეგიონებში და ასეულებში. ამ გარემოებამ დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ჩვენში რადგან გვიხდება ახალწვეულებში მისვლა. ჩვენ, წითელი კომუნარები ვგრძნობთ ჩვენს თავზედ დიდ პასუხის მგებლობას, რომელიც აუცილებლად უნდა განვახორციელოთ და მით უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობა დავაყენოთ მაგალითის წინაშე. 19 ივნისს უკვე დაიძრენ პირველ ლეგიონიდან ამხანაგები თავიანთ ნაწილებისაკენ. ამხანაგები ერთი მეორეს ემშვიდობებიან: „აბა თქვენ იცით თუ როგორ შეასრულებთ თქვენზედ დაკისრებულ მოვალეობას“

ამნაირად კომუნარები გადაგზავნილი იქნენ ყველა ნაწილებში. და მე-2-რე ლეგიონის განკარგულებაში, რომლებსაც აცილებენ სადგურამდის. განაწილების დროს ამხანაგების განცხადებას დიდი ყურადღება მიაქცია პოლიტ-განყოფილებამ. ყველას ანაწილებდენ სურვილისამებრ. ფიცსა ვსდებთ, რომ დიდი სიხარულით და ენერგიით შევუდგებით მუშაობას წითელ ჯარში და მით დავამტკიცებთ ჩვენს ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

**სანი იმნაიშვილი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: № 529-ში თქვენი გაზეთისა ა/წ. 21 ივნისიდან მოთავსებულია წერილი ვინმე „გორელისა“. ამხ. გორელი მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბის თანამშრომლებს ამხ. ამხ. მაღალაშვილს და გედევანიშვილს უკიჟინებს „ბიუროკრატობას“. 1-ლი არის შტაბის ოპერატ. სამწყობრო ნაწილის უფროსის თანაშემწე, მეორე შტაბის ადმ. სამნეო ნაწილის უფროსი საქმის მწარმოებელი: რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა, რომ მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის შტაბში, რომელიც ახლად სდგება, მეფობდეს ისეთი წესები რომელიც მოგვაგონებს „ბიუროკრატიზმს“. მეორე მხრით ავტორს ჩანს სუსტი წარმოდგენა აქვს შტაბის აპარატის შესახებ. ავიწყდება, რომ მე-2 დივიზიის შტაბი აწარმოებს საორგანიზაციო მუშაობას განსაკუთრებულ პირობებში, დროებით შემწყვდეული ერთ ოთახში, დღითი დღე ელის გადასვლას სხვა ადგილზე.

ჩანს ავტორი ოდესღაც ყოფილა „მსხვერპლი“ მის მიერ აწერილ „ბიუროკრატიზმისა“ და გაბრაზებული ანთხევს მთელ „ქაფს“ თანამშრომლებზე. იგი ამხ. გედევანიშვილს უწოდებს: „ძველი დროის მოხელეს ყველა დამახასიათებელი თვისებებით მეფის ბიუროკრატისა“ არ ვიცი იქნება ავტორს საზოგადოთ დიდი ფანტაზია აქვს, მაგრამ ამხ. გედევანიშვილის ნამსახურებითი ნუსხა ამბობს, რომ ის არის მუშის, ხელობით დურგლის შვილი, მსახურობდა ახალ-ქალაქის მაზრის სამხედრო კომისარიატის კანცელ. უფროსად და აქვს სამხედრო კომისრისაგან ასეთი ატესტაცია: „მთელი თავის სამსახურის დროს არავითარ უარყოფით შემთხვევებში შემჩნეული არ ყოფილა, მასზედ დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა კარგად, კეთილ-სვინდისიერად და თავის დროზე.“

1924 წ. მსახურობდა ამავე მაზრაში სტატისტიკური ბიუროს გამგეთ. არავითარი მიწა, სახლი და სხვა—არასოდეს არ ქონია და არც აქვს, ძველ ჯარში სრულიად არ უმსახურია, იმ დროს როდესაც წერილის ავტორი ამ მხრივ ძალიან „აფართოვებს“ თავის აზრებს. არავითარი ჯილდოები არა აქვს მიღებული ძველ ჯარში. მენშევიკების დროს მსახურობდა, როგორც სამხედრო ვალდებული მობილიზაციით. აქვს რეკომენდაცია პასუხის მგებელ პარტიულ მომუშავეთა. ავტორი თავის სიცხარეში, ვგონებ, ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში.

მე არ გავავრცელებდი ასე სიტყვას ამხ. გედევანიშვილის წარსულის შესახებ, არც მსურს იყოს გაგებული ეს ჩემი წერილი ისე როგორც მისი ოფიციალური დაცვა, მაგრამ ჩემთვის ცხადი არის და მგონია სხვებისათვისაც, რომ შტაბის თანამშრომლებს, რომლებსაც ამ ჟამად სხვა და სხვა მიზეზების გამო დღე და ღამე მუშაობა უხდებათ, რასაკვირველია კერძო მოხუცებულებთან და სხვა დაწესებულებების თანამშრომლებთან საუბრისათვის არ სცალიათ. გართულებულ ატმოსფერაში ხშირად უხდებათ გადადება უფრო ცოტა მნიშვნელოვანი და ჩქარი მინდობილებებისა. ერთ პატარა ოთახში მომწყვდეულებს დივიზიის სკოლის მე-6 ლეგიონის და სხვა ახლად შესადგენ ნაწილების თანამშრომლებთან ერთად, რასაკვირველია შესაძლებელია ეთქვათ კიდეც ასეთი ფრაზები როგორც არის „არა მცალია“ ან „თავი დამანებეთ“. მაგრამ ეს სრულიად არ აძლევს ნებას ავტორს გამოიტანოს ასეთი მოურიდებელი დასკვნა, რომელიც სრულიად არ შეეფერება „ბიუროკრატიზმს“.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა საჭიროა, ბრძოლა სასტიკი, მაგრამ ავტორის შენიშვნა მსუბუქ, ზერელე აზრს უფრო წაგავს, ვიდრე დადინჯებულ ანგარიშ—გასაწევ შენიშვნას.

მე-2 ქართულ მსრ. დივიზიის შტ. სამხკომი. **დ. ალხაზიშვილი.**

## რაზმში ვჭერავენ

**ცუდ საქციელს ბოლო უნდა მოეღოს.**

1-ლი ლეგიონის მნე ხუციშვილი მეტად ცუდი საქციელისა არის. ნუ იფიქრებ რომ მასთან მისულმა კაცმა, დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღოს. „ჩემი საქმე არ არის სხვას მიმართეთ“—„მე დატვირთული ვარ, ყველაფერს ვაკეთებ“ და სხვა.

სინამდვილეში კი არაფერსაც არ აკეთებს. საქმე შესრულებაშია და არა ლაპარაკში.

უნდა გამოასწოროს თავისი საქციელი და შესცვალოს თავისი ტონი მნე ხუციშვილმა, თორემ მის საქციელს საკმაოდ ადევნებენ თვალყურს და ალბად ძვირად დაუჯდება.

**მეთვალყურე.**

## ყველა „დობროქიმის“ წევრად.

ყოველდღე მოდის ახალი ცნობები ქიმიის განვითარების შესახებ. ამ საკითხისადმი, როგოოც ვიცით, დიდ ყურადღებას იჩენს, ევროპის ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

ქიმიის განვითარება დიდათ სასარგებლო იქნებოდა კაცობრიობის, წინმსვლელობისათვის, რომ მას იყენებდენ მხოლოთ მრეწველობის და მეურნეობის გასაუმჯობესებლად, და ის არ იხმარებოდეს, კაცობრიობის, ამოჟლეტის საუკეთესო საშვალებად. ქიმიას, როგორც თავდასხმის და მოგერიების საშვალებას, არ აქვს დიდი ისტორია. უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის დროს, როდესაც გერმანია რკალ შემორტყმული იყო ანტანტის სახელმწიფოების მიერ და არსებულ თავდაცვის საშუალებებით ის ვერ შესძლებდა მტრების მოგერიებას, მაშინ პირველად მოიხმარა ამ უდიდესმა მილიტარისტულმა სახელმწიფომ სამხედრო ქიმია. მანამ იმ აირის ქიმიურ შემადგენლობას გაიგებდენ და გამოიგონებდენ მის საწინაალმდეგო საშუალებებს, მხჩოლავი აირი მუსრს ავლებდა მოკავშირეებს.

შემდეგ, როდესაც მოკავშირეებმა გაიგეს მისი შემადგენლობა, ერთის მხრივ იქნა გამოგონილი მის საწინაალმდეგოდ ნილაბები, და მეორეს მხრივ თვით მოკავშირეებმა დაიწყეს დამზადება, არა ნაკლებ გერმანელების სიმძლავრის, აირების. მოსალოდნელი იყო, ომის შემდეგ ქიმიის განვითარება წავიდოდა მისი მეურნეობის და მრეწველობის გაუმჯობესებისათვის მაქსიმალურად გამოყენების გზით, მაგრამ ეს არ გამართლდა. მომავალში მოსალოდნელ ომის და თავდაცვის სიმძიმე გადატანილია ქიმიის სამხედრო საქმეში გამოყენების მნიშვნელობაზე. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ მხრივ ვითარდება ქიმიური მრეწველობა და დღეს ვხედავთ, მის გასაოცარ სწრაფ ზრდას. მისი გამოყენება საფრთხეს უმზადებს არა მარტო მებრძოლ ჯარის ნაწილებს, არამედ სახელმწიფოს მთელ მოქალაქეებს.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა რესპუბლიკებში? ჩვენი ქიმიური მრეწველობა არც წინეთ იყო დაყენებული სასურველ დონეზე და მით უფრო რევოლიუციის და სამოქალაქო ომის წლეებში ის დაეცა, არა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვესმოდა მისი მნიშვნელობა, არამედ რევოლიუციას უფრო მეტად მნიშვნელოვანი საკითხები ქონდა გადასაწყვეტი. დღეს კი, თავიდან აშორებულ საფრთხეების შემდეგ, შედარებით წინანდელთან მშვიდობიანობის ხანაში, ჩვენ გვმართებს ქიმიას მივაკუთნოთ უდიდესი მნიშვნელობა. ის უკვე აღიარებულია უდიდეს მნიშვნელობის და ყურადღების საკითხად. ლოზუნგს ქიმიის შესწავლის და განვითარების შესახებ, დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან მშრომელი მასები. ქიმიის როგორც თავდაცვის ისე მრეწველობის განვითარების საშუალების მნიშვნელობას ყველა გრძნობს. მოსკოვში დიდი ხანია, რაც დაარსდა „დობროქიმის“ საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე ამხ. ტროცკია. ამ საზოგადოების გარშემო თავს იყრის გამოჩენილი პროფესორები.

ამ საზოგადოების ფილიალები უკვე დაარსებულია ყველა სამრეწველო ცენტრებში. გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი. ამ კამპანიაში უნდა ჩავითრიოთ პირველ რიგში სამხედრო უწყებაში მომუშავენი, წითელ მოლაშქრეები და საბჭოთა რესპუბლიკების ყველა პატიოსანი მოქალაქეები. ეს არც ისე ძნელია. საჭიროა, რომ ყველა ესენი გახდენ საზოგადოების წევრებად, რაც მოქალაქესათვის ეღირება მანეთი, წითელ არმიელისათვის კი ორი შაური. ამით ჩვენ შევსძლებთ მთავრობის, რომელიც მარტოთ თავის საშუალებით ვერ გაუძლევება ამ საქმეს, მატერიალურ დახმარების აღმოჩენას. რაც შეეხება ქიმის განვითარებისათვის საჭირო ნივთიერებების რაოდენობას, ამ მხრივ ვერც ერთი

ბურჟუაზიული სახელმწიფოები ვერ შეედრება საბჭოთა რესპუბლიკებს.

ამ საქმის სათანადოთ მოგვარება თავდებია საბჭოთა რესპუბლიკების ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მხრივ თავდასხმისაგან თავდაცვის უზრუნველყოფა.

ს. ლ.

## „ევკოოპერატივი“-ს ქუთაისის განყოფილება.

თანახმად სარევიზიო კომისიის უკანასკნელი სხდომის დადგენილებისა, გავემგზავრე ქ. ქუთაისში ადგილობრივ განყოფილების დასათვალიერებლათ. საიდანაც გამოირკვა შემდეგი.

განყოფილებას გახსნილი აქვს ქუთაისში ორი დიდი უნივერსალური მაღაზია: ერთი შეკერილი ტანისამოსის მაღაზია, სასადილო, პურის საცხობი, კიოსკი ბაზარში, და აღებული აქვს ბაღი დასამუშავებლად. დღიური შემოსავალი უდრის ერთი მეორეზე-დაახლოებით, ათას ხუთას მანეთს. განყოფილებას ხელმძღვანელობს ცენტრალური გამგეობის წევრი ამხ. ქარქაშაძე, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ცენტრალურ გამგეობასთან და მუშაობს მისი დირექტივებით.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამხ. ქარქაშაძეს დიდი ენერგია და უნარი გამოუჩენია, რის შედეგია განყოფილების მუშაობის სათანადო სიმაღლეზედ დაყენება. საერთოდ ჩვენს კოოპერატივებს ხალხის ნდობა სიყვარული საკმაოთ აქვთ მოპოვებული. მე ვიყავი მოწამე, როდესაც სოფლიდგან ჩამოსული გლეხები გაყიდდენ რა ბაზარზე თავიანთ ნაწარმოებს მოდიოდენ ჩვენს მაღაზიებში და რიგში იდგნენ საქონლის სასყიდლათ. ასეთი მიზიდვა გლეხების და სრული ნდობა ჩვენს კოოპერატივზე აიხსნება იმით, რომ ჩვენმა განყოფილებამ საკმაოთ შესძლო მშრომელი ხალხისათვის თავის დროზედ და კარგი ხარისხის საქონლის სისტემატიურათ მიწოდება, ბაზართან შედარებით საგრძნობლად დაკლებულ ფასებში. ეს განყოფილებამ შესძლო თავისი მარტივი და მოქნილი აპარატის შემწეობით კერძო ვაჭრებთან ბრძოლაში ის გამარჯვებული გამოვიდა.

მართალია ჯერ კიდევ არიან ქუთაისში დარჩენილი ზოგიერთი წვრილი ვაჭრები, მაგრამ ისინიც ჩქარა აიკრეფენ ბარგს. ამ შემთხვევაში აქ ჩვენთან არის „ბოიც ოკა“ და „ეპოები“, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, სახელდობრ ის, რომ გლეხობას უფრო მეტს ნახავ ჩვენს კოოპერატივებში. ეს მდგომარეობა ალბათ იმით აიხსნება, რომ ჩვენი კოოპერატივები აწვდიან მშრომელ ხალხს პირველ მოთხოვნილების საგნებს უფრო იაფათ, ვინემ „ეპოები“ და „ბოიც ოკა“. ჩვენს განყოფილებას ხშირათ საქმე აქვს არა შუამავლებთან მეორე და მესამე პირთან, არამედ პირველ ხელთან, ამას დაუმატოთ კიდევ შტატის სიმცირე და ხარჯების შემოკლება შედარებით „ეპოებზე“. ცხადია ასეთ პირობებში ჩვენს განყოფილებას უფრო იაფათ შეუძლია გაყიდოს საქონელი, ვინემ სხვას. მომავალში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პირველ მოთხოვნილების საგნებს მშრომელ ხალხს უფრო იაფათ მივაწოდებთ, ვინაიდან ცენტრალურმა გამგეობამ გადასწყვიტა, რომ პირდაპირი კავშირი დაიჭიროს მოსკოვთან.

თუ ეს განვახორციელეთ, სამხედრო კოოპერატივი უფრო მეტ ნდობას მოიპოვებს, როგორც წითელჯარში, აგრეთვე სოფლის გლეხობაში.

ელიზბარ.

# ომი და ქიმია

## ნახშირბადის ჟანგი.

ნახშირბადის ჟანგი წარმოადგენს აირს, რომელიც მიიღება შეშის ან ნახშირბადიანი ნივთიერების წვის დროს, როდესაც გავარვარებული ნაკვერჩხალი ბლომადაა. ჩვეულებრივად ცეცხლის წვის დროს ნახშირბადი უერთდება რა ჰაერის ჟანგბადს მიიღება ნახშირბადის ორჟანგი, მხოლოდ შემდეგში ნახშირბადის ორჟანგი შედის რა ნაკვერჩხალში გადადის ნახშირბადი ჟანგად. შეშა ღუმელში როცა ჩაიწვება ხოლმე და ნაკვერჩხლად იქცევა, მაშინ ჩვეულებრივად ნაკვერჩხლებს შორის ჩნდება ლურჯი ფერის ალები; ეს არის ანთებული ნახშირბადის ჟანგი.

ნახშირბადის ჟანგი უფეროა, არავითარი სუნი არა აქვს, წყალში არ იხსნება. შესუნთქვის დროს ჰმოქმედობს როგორც შხამი, ვინაიდან მას შთანთქავს სისხლი, რასაც მოჰყვება მისი ქიმიური გარდაქმნა და ადამიანის სრული მოშხამვა და სიკვდილი. მრავალია შემთხვევა ნახშირბადის ჟანგით მოწამვლისა, როდესაც ღუმელს ნაადრევად ჰხურავენ და შეუმჩნევლივ ესალმებიან სიცოცხლეს ამ გვარ დაუდევრობისაგან. სხვათა შორის ამ ნახშირბადის ჟანგით მოიწამლა და მოკვდა ცნობილი ფრანგი მწერალი ემილ ზოლა, ღუმელი ნაადრევათ იყო დახურული და ამ შხამმა თავისი საქმე შეასრულა.

იმპერიალისტურ ომის დროს ეს აირი არ მოუხმარიათ, რადგან მისი შეკუმშვა მეტად ძნელია და ბალონებში და ყუმბარებში მეტად დიდ წოლვის ზეგავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო, რაც სახიფათო იქნებოდა მისი შენახვის დროს. შემდეგ ნახშირბადის ჟანგი ჰაერზედ ცოტათი მსუბუქია, რაც მას უშლის გაეკრას ორმოებს, სავანეებში და თხრილებში ჩასვლას, როგორც ეს სხვა აირებს შეუძლია და სწორედ ეს სიმსუბუქე აიძულებს მას ჰაერში მაღლა ასვლას და გაფანტვას. თუმცა იგი შედარებით ფოსგენთან ხუთჯერ ნაკლებად შხამიანია, მაინც ვინაიდან მისი შესუნთქვა შეუმჩნევლად ხდება ადამიანისთვის და ნელა მოქმედებს შესაძლებელია მომავალში, მისი ნაკლი აიცილონ და იგი საბრძოლ აირად მოიხმარონ, მით უმეტეს, რომ ნახშირბადის ჟანგის საწინააღმდეგოთ ჩვეულებრივი პირბადე უვარგისია.

ნახშირბადის ჟანგი, როგორც საზღვაო ისე ხმელეთის ომში მეტად სახიფათო აირს წარმოადგენს. თუ საკმარისად არ იწმინდება ჰაერი რაიმე ხომალდის განყოფილებაში, როგორც ომის დროს ისე სხვა დროს ხანძარის შემთხვევაში მეტად სახიფათოა, იმიტომ, რომ დიდძალი ნახშირბადის ჟანგი ამოდის. ნაღმისა და ყუმბარის გახეთქის დროს წარმოიშვება ნახშირბადის ჟანგი, ისე რომ ყუმბარა თუ მოხვდა ხომალდს შიგნით ან დედამიწაზედ სავანეს და სხვა, მოსალოდნელია ამ აირით მოწამვლა. გერმანელებსა და ინგლისელების საზღვაო ერთ-ერთ ბრძოლაში ერთს ჯავშნოსანს მოხვდა მსხვრევი ყუმბარა განმხოლოებულ განყოფილებაში, და იმოდენა ნახშირბადის ჟანგი გამოიყო, რომ რამოდენიმე ასეული კაცი იმსხვერპლა.

იგივე ითქმის ქვა-მაღაროებში მომუშავეთა და მესანგრეთა შესახებ, როდესაც ისინი აფეთქებენ ნაღმს, რომლის დროსაც მეტად სერიოზული ხიფათია მოსალოდნელი ნახშირბადის მჟავისაგან.

როგორც ზევით ავღნიშნეთ თანამედროვე პირბადე ნამდვილი არაა ამ აირისაგან დაცვისათვის. წარდგენილი იყო მის საწინააღმდეგოთ ორი შეზავება, რომლითაც პირბადე უნდა გაივსოს. და ბოლოს არსებობს განსაკუთრებული ჟანგბადიანი აპარატები (პოსპელოვის, დრეგერისა და სხვა) რომლის გაკეთება შეუძლია ადამიანს, რითაც თავის თავს განამხოლოებს ირგვლივ ატმოსფეროდან და ისუნთქავს ჟანგბადით.

გ. ბ—შვილი.

# ახალი ამბები.

**წითელ არმიელთა ოჯახების დასახმარებლად.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაუგზავნა მიწერილობები სამაზრო აღმასკომებს წითელ არმიელთა ოჯახებისათვის კანონიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **სარწყავი არხის გაყვანა.** სოფ. თელეთში სარწყავი არხის გასაყვანათ ქალაქის აღმასკომმა გადასდო 2,200 მანეთი.

— **ბავშები კოჯორში.** ქალ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ კოჯორში გადაგზავნა სულ 700 ბავში.

— **ტრამვაის გაყვანა კოჯორში და მცხეთაში.** ქ. აღმასკომის კომუნალური განყოფილება იმუშავებს გეგმას ტფილისიდან კოჯორში და მცხეთაში ტრამვაის გაყვანის შესახებ.

— **შემნახველი კასები სოფლათ.** სოფლის მოსახლეობის მეტი სარგებლიანობისათვის და დასამხრისობისათვის, გადაწყვეტილია შემნახველი კასები გაიხსნას ფოსტა-ტელეგრ. განყოფილებებთან.

— **მუშათა სასახლე ბორჯომში.** უახლოეს ხანში ბორჯომში გაიხსნება მუშათა სასახლე, სადაც მოეწყობა კლუბი, წიგნთსაცავი, სამკითხველო და ტანსავარჯიშო დარბაზი.

— **მოსავალი იმერეთში.** ქუთაისიდან მოსული ცნობებით უკანასკნელათ მოსულმა წვიმებმა იქ, მოსავალი საკმაოთ გამოაკეთა. თუ ამინდმა ხელი შეუწყო მოსავალი კარგი იქნება.

— **ბრძოლა სეტყვის წინააღმდეგ.** მიწ. მოქმედების კომისარიატის მიერ კახეთის სახალხო მამულებში მოეწყო 111 სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველი სადგურები.

— **სპირტის სახდელი ქარხანა.** ლონჩხუთის მთლიანი კოოპერატივი ხსნის ადგილობრივ, სპირტის სახდელ ქარხანას.

— **მადნის ექსპლოატაცია ლეჩხუმში.** ბარიტის მადნის საექსპლოატაციოთ ლეჩხუმის მაზრის აღმასკომმა ხელშეკრულება დასდო სამთომადნო კომიტეტთან.

## ხელოვნება.

— **კონსერვატორიის დახურვა.** საქ. განათლების კომისრის განკარგულებით ს. ს. ს. რ. სახელმწიფო კონსერვატორია დახურეს. სახ. განათლების კოლეგია ნიშნავს საგანგებო კომისიას, რომელიც იმუშავებს ახალი კონსერვატორიის მოსაწყობათ სამეურნეო ანგარიშზე.

— **სათეატრო ინსტიტუტის დახურვა.** დაიხურა საქ. სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტი.

— **ჯილდო მუშა მსახიობს.** ქალ. აღმასკომმა 200 მანეთით დააჯილდოვა წყალსადენის ზეინკალი მუშა შახნაზაროვი მისი 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ მუშათა სცენაზე.

— **დიდი ოლიმპიადა.** კვირას და ორშაბათს, ამხ. ლენინის სახელობის ტანთსავარჯიშო მოედანზე გაიმართება ა. კ. ახალგაზრდა კომკავშირის ოლიმპიადა.

# სასოფლო მეურნეობა.

## ნაყოფის სიდამპლის წინააღმდეგ ბრძოლა.

როცა მეურნემ კარგათ იცის ამა თუ იმ მავნებლის ყოფა ცხოვრება, ის უფრო კარგათ შესძლებს მის საწინააღმდეგო ზომების გამოყენებას და მავნებლის მოსპობას, როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ ნაყოფის სიდამპლე ძლიერი მავნებელია, მის განვითარებას განსაკუთრებით ხელს უწყოეს თბილი და ნესტიანი ამინდები. ასეთ ამინდებში რამოდენიმე დღე საკმარისია დაზიანებულ ნაყოფის დასალპობათ და სოკოს მავნებლობის ფართეთ გასავრცელებლათ. თუ კი ამინდები მშრალი—მზიანი და ნათელია, სიდამპლე ისე მძლავრათ ვერ ვითარდება. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოკო ცუდ ბუნებრივ პირობებს მაგ. გვალვას, სიცხეს და სხვ. ვერ უძლებს, მაშინ როდესაც მისი სპორები (თესლების) ძლიერ გამძლენი არიან.

ხშირათ შეხვდებით ბაღებში დაზიანებულ შავი ფერის ნაყოფები გამხმარი აქა-იქ ჩსმოკიდებულია ხეზე. ასეთ ნაყოფებში ბევრია სოკოს სპორები. ამიტომ არც ერთი ასეთი დაზიანებული ნაყოფი არც ხეზე და არც მიწაზე არ უნდა დავტოვოთ. ისინი უნდა შევაგროვოთ და დავწვათ.

სიდამპლე ზოგჯერ ყვავილებსაც აზიანებს.

სიდამპლის წინააღმდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ გამაფრთხილებელ ზომებს. ავათმყოფობის გაჩენისთანავე უნდა შემოვიაროთ, შევაგროვათ დაზიანებული ნაყოფები, ყვავილები თუ ფოთლები და დავწვათ. აგრეთვე ძირს—მიწაზე მყოფი ხმელი ბალახ-ბულახის ტოტები და სხვა უსუფთაობა უნდა შევაგროვოთ და დავწვათ ან ღრმათ მიწაში ჩავმარხოთ.

ასე უნდა ვიმეოროთ ყოველ მესამე-მეოთხე დღეს.

ადრე გაზაფხულზე ფოთლებს უნდა ვასხუროთ ბორდოს სითხე.

მისხურება უნდა გავიმეოროთ ორ-სამჯერ.

მეურნე.


## ყოველდღიური სამხედრო გაზეთი

# „კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 3 თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

## გამოვიდა ქართულ სამხედრო სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის მიერ გამოცემული კრებული № 1.

# „წითელი ბუშაში“

ფასი ერთი მანეთი.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: **კეც ხოველის ქუჩა** (ყოფ. ლორის-მელიქოვისა), **სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზედ.**


ნ. დ. . ც. ტირაჟი 1000 ისსამხედრო სტამბა კეცხოველ ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.